მომსახურეობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

28 ივნისი 2016

წ.

ერთის მხრივ შპს „გრინ გარდენ“ (ს.ნ 405041985) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ხოსროვ ქუჩე–ბიდის სახით (შემდგომში „დამკვეთი“), და მეორეს მხრივ, შპს „აგრო დეკორ სერვისი“ (ს.ნ.248384822) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლევან ჭანუყვაძის სახით, (შემდგომში „შემსრულებელი“), შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისი, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული, ნაკვეთი 1/59, საკადასტრო კოდი 01.12.21.001.220, მშენებარე მრავალფუნქციური სპორტულ–გამაჯანსაღებელი და გასართობი სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიაზე შემდეგი სამუშაოების ჩატარება (შემდგომში ,,მომსახურეობა“):

- მიწის ნაკვეთის ფართის მომზადება გამწვანების სამუშაოების საწარმოებლად;

-გამწვანებას დაქვემდებარებულ მიწის ფართზე სარწყავი სისტემის მოწყობა;

-გამწვანების ფართზე რულონური ბალახის გაზონის მოწყობა;

-გამწვანების ფართზე დარგვის მიზნით დეკორატიული ხე-მცენარეების, მათ შორის ქოთნებში,(ხე-ბუჩქი, ყვავილი, მცენარე-შემდგომში ,,მომსახურეობის პროდუქტი“) შეძენა და მიწოდება;

-გამწვანების ფართზე დეკორატიული ხე-მცენარეების (მომსახურეობის პროდუქტი) დარგვა;

-გამწვანების ფართზე დარგული ხე-მცენარეების (მომსახურეობის პროდუქტი) მოვლა;

1.1 „შემსრულებელი“კისრულობს ვალდებულებას საკუთრებაში გადასცეს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის პროდუქტი და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ეს პროდუქტი და მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის პროდუქტის მიწოდებას შემსრულებლი განახორციელებს დამკვეთის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 50 %-ის ავანსის ფორმით ჩამორიცხვის შემდეგ ეტაპობრივად, ქ. თბილისი, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარკუნძულზე დამკვეთის საკუთრებაში მდებარე ობიექტზე დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მიწოდების ვადები და წესი

2.1 „დამკვეთი“ ვალდებულია საკუთარი ელ. ფოსტიდან, office@greengarden.com.ge, შემსრულებლის ელ.ფოსტაზე, info@euroezo.ge, შეტყობინების გაგზავნის გზით აცნობოს შემსრულებელს, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი სამი ალბომიდან, მიმდინარე ეტაპზე მისაწოდებელი პროდუქტის სახეობა, რაოდენობა, მიწოდების დრო და ვადები, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის მიწოდება დამკვეთისთვის შეკვეთის შესაბამისად. ელ.ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება შეკვეთის მიცემად და შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც ვადების დარღვევისთვის, ისე რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეუსაბამო მომსახურეობის პროდუკტის მიწოდებისთვის.

2.2 დამკვეთს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით წინასწარ შეამოწმოს მიწოდებას დაქვემდებარებული პროდუქტის სახეობრივი და ხარისხობრივი მხარე.

2.3 დამკვეთის მიერ ცალკეულ ეტაპზე გაკეთებული შეკვეთა მომსახურეობის პროდუქტზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი ტრაილერის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთთან შეთანხმების გარეშე შესრულების ცალკეულ ეტაპზე მოხდება ზედმეტი პროდუქციის მიწოდება, ვიდრე ესგანსაზღვრული იყო შეკვეთაში, დამკვეთს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მოიქცეს შემდეგნაირად:

2.3.1გადაიხადოს პროდუქციის ფასი, რომელიც მითითებულია შესაბამის ინვოისში;

2.3.2მოითხოვოსზედმეტი პროდუქციის ობიექტიდან გატანა;

2.3.3მოახდინოს ზედმეტი პროდუქტის ღირებულების ანაზღაურება შემდეგი შეკვეთის ფარგლებში განხორციელებული ანაზღაურებისას.

3. მომსახურეობის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ცალკეული ეტაპისთვის ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურეობის პროდუქტისა და შესრულებული მომსახურეობის ღირებულებით და დასტურდება ინვოისით, სასაქონლო ზედდებულით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით;

3.2 შემსრულებლის მიერ განსახორციელებელი მომსახურების ღირებულება მოიცავს ტრანსპორტირების ფასს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ფასის კორექტირება შესაძლებელია საბაზრო ფასების მნიშვნელვანი ცვლილების საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

3.3 შესასრულებელი მომსახურების მთლიანი საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება 2 000 000 (ori მილიონi) ამერიკული dolარით;

წინამდებარე ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებული მომსახურეობის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად:

-მიწის ნაკვეთის ფართის მომზადების საფასური გამწვანების სამუშაოების საწარმოებლად განისაზღვროს 1 კვ.მ.-ზე 2,09 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

-გამწვანებას დაქვემდებარებულ მიწის ფართზე სარწყავი სისტემის მოწყობის საფასური განისაზღვროს 1კვ.მ.-ზე: ა)წვეთობრივი 2 აშშ დოლარი; ბ)სპინკლერული ფორმის 7 აშშ დოლარი; გ) გადაწვიმებით(ყვავილები და გასაყიდი მცენარეები) 3 აშშ დოლარი. მოცემული სარწყავი სისტემების მოწყობაში არ შედის პომპისა და რეზერვუარების ღირებულება, რომლის ღირებულება განისაზღვრება წარმოშობილი გასამწვანებელი ფართობების სეგმენტაციის მიხედვით. -გამწვანების ფართზე რულონური ბალახის გაზონის მოწყობის საფასური განისაზღვროს 1 კვ.მ.-ზე 6,98 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ფასი ადგილზე 4,18 აშშ დოლარი, ბალახის აჭრა,დატვირთვა დაცლა დაგება 1,40 აშშ დოლარი,ტრანსპორტირება 1,40 აშშ დოლარი).

-გამწვანების ფართზე დეკორატიული ხეების დარგვის საფასური განისაზღვროს 1 ც-ზე: ა)7,5 ლიტრიანიდან 20-ლიტრიანი ქოთნის ჩათვლით 2,32 აშშ დოლარი. ბ)25-დან 50-ლიტრიანი qoTnis ჩათვლით 6,98 აშშ დოლარი. გ)55 ლიტრიანი ქოთნის და ზევით 11,63 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. მცენარის ნიადაგში გადარგვის შემთხვევაში 1 ხე - 2,09 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

-გამწვანების ფართზე დეკორატიული ბუჩქების დარგვის საფასური განისაზღვროს 1 ც-ზე: ა)1,5 ლიტრიდან 5-ლიტრიანის ჩათვლით 0,93 აშშ დოლარი, ბ)5-იდან 10-ლიტრიანის ჩათვლით 2,32 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, გ)10-დან 25 -ლიტრიანის ჩათვლით 3,26 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

-გამწვანების ფართზე დეკორატიული ყვავილების დარგვის საფასური განისაზღვროს 1 ც-ზე:0,05 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

-გამწვანების ფართზე დარგული ხე-მცენარეების (მომსახურეობის პროდუქტი) მოვლის საფასური განისაზღვროს: ა) მიწაზე გადარგული ხე მცენარეების მოვლა 1-კვ/მ ფართობზე ყოველთვიურად 0,32 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში. ბ)მცენარეების მოვლა ქოთნებში ყოველთვიურად ერთი ცალი მცენარისათვის 0,39 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

- საჩრდილობლის მოწყობა 1-კვ/მ ფართობისათვის 17,44 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ადგილის მოსწორება გრეიდერით, გროუნდქოვერის გადაფენა, საჩრდილობელი ტენტის შეძენა, ორმოების ამოღება და რკინის ბოძების ჩასმა, ჩამონტაჟება, სპეციალური ტროსები საჩრდილობლის გასაჭიმად, პერსონალის ხელფასი).

3.4 შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის ყოველ ჯერზე მიწოდებული პროდუქციის და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულება გამოითვლება ამ ჯერზე მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის და ამ ჯერზე ფაქტიურად შერულებული სამუშაოს შესაბამისად, რაც დგინდება სასაქონლო ზედნადებით.

3.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ცალკეული ეტაპისთვის ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურეობისა და მოწოდებული პროდუქტის ჯამური ღირებულებიდან 75%-ის ფულადი სახით ანაზღაურების გზით, 3(სამი) სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურეობის ჯამური ღირებულებიდან 25%–ის ანგარიშსწორება განხორციელდება ბარტერით, რაც გულისხმობს დამკვეთის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ქ. თბილისი, თბილისის ზღვის დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარკუნძულზე, საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.220, აშენებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ და გასართობ სასტუმრო კომპლექსში სასტუმრო ნომრების გადაცემას საკუთრებაში. გადასაცემი ფართის რაოდენობა განისაზღვრება მომსახურეობის საერთო ღირებულების 25%–ის ტოლფასოვნად. აღნიშნული ფართების ღირებულება მოიცავს დღგ–ს გადასახადს და შეადგენს 1კვ. მეტრზე 1500 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული გაცვლითი კურსით.

3.6 მხარეები თანხმდებიან, რომ გადასაცემი უძრავი ქონება დამტკიცებული გენგეგმის მიხედვით წარმოადგენს ობიექტებს N5 და N6, ხოლო სართულის შერჩევა ხდება დამკვეთტან შეთანხმებით. სასტუმრო ნომრების გადასაცემი ფართი განისაზღვრება კედლების შიდა კონტურის აზომვის შედეგად დადგენილი სასარგებლო ფართით და მასში შედის აივნებისა და ტერასების ფართი, ასეთების არსებობის შემთხვევაში, გარემონტებულ მდგომარეობაში.

3.7ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

3.8 სასტუმრო ნომრების განშლის სპეციფიკის გათვალისწინებით, გადასაცემ ფართსა და მომსახურეობის ჯამური ღირებულების 25%–ის დაანგარიშების შემდგომ, მეტი ან ნაკლები სხვაობის შემთხვევაში, მხარეებს შორის სხვაობის ანაზღაურება მოხდება 1500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გაანგარიშებით 1 კვ. მეტრზე.

3.9 შემსრულებელი, როგორც მომავალი მფლობელი ამ ხელშეკრულების 3.5 და 3.6 მუხლის მიხედვით ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარ კუნძულზე მშენებარე მრავალფუნქციური სპორტულ–გამაჯანსაღებელი და გასართობი სასტუმრო კომპლექსის სასტუმრო ნომრებისა, თანახმაა და იღებს ვალდებულებას, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, დამკვეთთან გააფორმოს მრავალფუნქციური სპორტულ–გამაჯანსაღებელი და გასართობი სასტუმრო კომპლექსის მომსახურეობის ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება ტერიტორიის მომსახურეობის პირობები და ყოველთვიური გადასახადი. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებებლი აღნიშნულ უძრავ ქონებას გაასხვისებს მესამე პირზე, მრავალფუნქციური სპორტულ–გამაჯანსაღებელი და გასართობი სასტუმრო კომპლექსის მომსახურეობის ხელშეკრულებით წარმოქმნილი ვალდებულება ავტომატურად გავრცელდება ახალ მესაკუთრეზე.

3.10 დამკვეთის მიერ შემსრულებლისგან მოწოდებული ალბომებიდან შერჩეული მომსახურეობის პროდუქტის შეკვეთის შემდგომ, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში დამკვეთი იხდის ამ შეკვეთის 50 %-ს, შემსრულებელი კი ვალდებულია 30 კალენდარული დღის განმავლობაში შეიძინოს და მიაწოდოს დამკვეთს აღნიშნული მომსახურეობის პროდუქტი, რაც

განთავსდება შპს ,,გრინ გარდენ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, კერძოდ, ქ. თბილისი, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული, ნაკვეთი 1/59, საკადასტრო კოდი 01.12.21.001.220.

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მოახდენს მომსახურეობის პროდუქტის მოვლა-პატრონობისა და შენახვისთვის საჭირო სამუშაოებს 3.3 მუხლით გათვალისწინებული ტარიფების მიხედვით.

3.11 მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ თუ შემსრულებელი უნაკლოდ განახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსახურებას, იგი (შპს “აგროდეკორსერვისი“) იქნება ანალოგიური მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი „დამკვეთის“ ამ კონკრეტულ პროექტზე. დამკვეთი უფლებამოსილია იმ შემთხვევაში, თუ თავად მოიძიებს და შეარჩევს მომსახურეობის პროდუქტს, მისი შესყიდვა და შემოტანა მოახდინოს შემსრულებლის მეშვეობით, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობით.

3.12 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლით განსაზღვრული ანაზღაურების წესი შეთანხმებულია და ორივე მხარისთვის მისაღებია, როგორც თანამშრომლობის ძირითადი პირობები. შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეუძლებელია ანგარიშსწორების წესის რაიმე ფორმით შეცვლა ან გადახედვა და ორივე მხარეს ავალდებულებს მის უპირობოდ აღსრულებას. ამით მხარეებს სურთ უდავო და მტკიცე ხასიათი მიანიჭონ წინამდებარე შეთანხმებას.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

თითოეული მხარე იღებს პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე და ასევე ამ ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულების გამო მეორე მხარისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

შემსრულებელი ვალდებულია:

4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

4.2 გაუწიოს დამკვეთს ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნული მომსახურება, მიაწოდოს წარმოდგენილი სამი ალბომიდან უნაკლო, უმაღლესი ხარისხის მომსახურეობის პროდუქტი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია;

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს დამკვეთი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

4.4 გაუწიოს დამკვეთს მომსახურეობა მისი კუთვნილი ინვენტარით და კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, დამკვეთის მხრიდან მიღებული შეკვეთის საფუძველზე, შეკვეთაში დაფიქსირებული ხარისხის, რაოდენობის, ვადებისა და პირობების შესაბამისად.

4.5 დაიცვას მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული შესასრულებელი სამუშაოების გრაფიკი, და დარღვევის შემთხვევაში უსასყიდლოდ, გონივრულ ვადაში აღმოფხვრას შესრულებაში გამოვლენილი ყველანარი ნაკლი.

4.6 პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. შემსრულებელი პასუხს აგებს დამკვეთისათვის უხარისხო პროდუქციის მიწოდების გამო დამდგარ ზიანზე. იმ შემთხვევაში , თუ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მომსახურეობის პროდუქტის რომელიმე სახეობა დაზიანდება, შემსრულებელი ვალდებულია უსასყიდლოდ გამოცვალოს აღნიშნული პროდუქტი, ამასთან დაზიანების მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს.

შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.1 მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ

-დამკვეთი სისტემატიურად, დროულად არ განაახორციელებს ანგარიშსწორებას;

-დამკვეთი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ სხვა ვალდებულებებს.

დამკვეთი ვალდებულია:

4.3 დაიცვას ხელსეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

დამკვეთი ვალდებულია:

4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურეობის ღირებულება.

დამკვეთი უფლებამოსილია

4.5 შეამოწმოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ასევე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

4.6 მოსთხოვოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

4.7 დამკვეთ: უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ

-შემსრულებელი სისტემატიურად, მოთხოვნილ ვადაში არ მიაწოდებს შეკვეთაში ასახულ პროდუქციას სრულად;

-შემსრულებელი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ სხვა ვალდებულებებს.

5. ფორს–მაჟორი

5.1 არცერთი მხარე არარის ვალდებული პასუხი აგოს მოვალეობების არასათანადოდ ან არადროულად შესრულების გამო იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეული იყო მხარეთა კონტროლს დაუმორჩილებელ მიზეზთა გამო, თუმცა ორივე მხარე ვალდებულია ფორს–მაჟორული მდგომარეობის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში მეორე მხარეს აცნობოს წერილობით იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ვალდებულებების სათანადოდ შესრულება ფორსმაჟორის გამო.

5.2 აღნიშნული ხელშეკრულების მიზნებისთვის განსაზღვრება «დაუძლეველი ძალის გარემოებები» შეზღუდვების გარეშე შეიძლება იყოს ბუნებრივი კატასტროფები, ხანძარი, უბედური შემთხვევა, სამხედრო თუ სხვა სამთავრობო ქმედებები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაზე.

5.3 იმ მომენტიდან, როგორც კი ფორსმაჟორული მდგომარეობის დაწყება დადასტურდება, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეაჩერონ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ასეთი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში. ფორსმაჟორის დასრულებისთანავე მხარეებს აღუდგებათ ყველა ნაკისრი ვალდებულება იმ თანმიმდევრობით, რომელიც არსებობდა აღნიშნული მდგომარეობის დაწყებამდე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
7.2 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
7.3 მხარეები თანხმდებიან, რომ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ ისინი მხარეთა მიერ შესრულებულია წერილობითი ფორმით,რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლების ბათილობას.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“

შპს ,,გრინ გარდენ”

ს.ნ. 405041985

მის. ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. 74-74ა-74ბ;
ა

ელ. ფოსტა: office@greengarden.com.ge

საბანკო კოდი- REPLGE22

ა/ა: GE54BR0000010283332130

დირექტორი - ხოსროვ ქუჩე–ბიდი

„შემსრულებელი“

შპს „აგროდეკორ სერვისი“

ს.ნ. 248384822

მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49

ელ. ფოსტა:info@euroezo.ge,

საბანკო კოდი- BAGAGE 22

ა/ა: GE90BG0000000123842000

დირექტორი - ლევან ჭანუყვაძე



simagle 2m
raodenoba 50cali
fasi 245



simagle 2m
raodenoba 50cali
fasi 255



simagle 1.8
raodenoba 100
fasi 265



simagle 1.3
raodenoba 100
fasi 380



distancia 5-7 metri

raodenoba 50

simagle 1.5

fasi 480



simagle 2

raodenoba 50

fasi 265

www.rarepalmseeds.com



distancia 3-4 m

raodenoba 50cali

simagle 1.5

fasi 70



raodenoba 50

simagle 1

fasi 200



fasi 240



raodenoba 50

simagle 1.2

fasi 155



distancia 7m

raodenoba 50cali

simagle 1

fasi 350



raodenoba 50
simgle 1.2
fasi 125



raodenoba 50

simagle 2

fasi 485





distancia2-3m
raodenoba 100cali
simagle 1.5
fasi 185



simagle 0.8

raodenoba 150

fasi 285



simagle 0.5
raodenoba 30
fasi 100



raodenoba 30

simagle 1.2

fasi 135



simagle 1.5

raodenoba 30

fasi 175



raodenoba 30
fasi 45
simagle 0.4



raodenoba 30

fasi 55

simagle 1.2



raodenoba 30

fasi 55

simagle 0.5



simagle 0.7
raodenoba 30
fasi 45



simagle 0.5
raodenoba 30
fasi 40



raodenoba 30
simagle 0.3
fasi 10



raodenoba 30

fassi 70



simagle 0.7
raodenoba 50
fasi 45



simagle 0.1

raodenoba 30

fasi 5



simagle 0.5
raodenoba 30
fasi 75



simagle 0.5
raodenoba 30
fasi 40





simagle 0.7

raodenoba 30

fasi 35





simagle 0.15
raodenoba 200
fasi15



simagle 0.8

raodenoba 50

fasi 95


www.NZPlantPics.com



simagle 0.7
raodenoba 30
fasi 15



simagle 0.4

raodenoba 30

fasi 45



simagle 0.4
raodenoba 30
fasi 55



simagle 0.4

raodenoba 30

fasi 55



simagle 0.4
raodenoba 30
fasi 55



simagle 0.4
raodenoba 30
fasi 55



simagle 0.4

raodenoba 30

fasi 55



simagle 0.4

raodenoba 30

fasi 55



simagle 1.5
raodenoba 30
fasi 175



simagle 0.6
raodenoba 30
fasi 95



simagle 0.7
raodenoba 30
fasi 110



simagle 0.5
raodenoba 30
fasi 55



raodenoba 30
simagle 1.65
fasi 230



simagle 0.4

raodenoba 30

fasi 55



simagle 0.4
raodenoba 30
fasi 45



simagle 1.5

raodenoba 30

fasi 175

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA010198311665215

№25/85932

24 / დეკემბერი / 2015 წ.

შპს გრინ გარდენის დირექტორს

საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს
რაიონში, მ.ბურძგლას ქ., N 74-74ა-74ბ, ბ. 85

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 09.11.2015 წლის #74686/07 და 15.12.2015 წლის 112258/07 წერილები და დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში შპს „გრინ გარდენი"ს საკუთრებაში (თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული საკ/კოდ #01.12.21.001.220; #01.12.21.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთზე, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი

თბილისის ზღვაზე ,დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული

სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი





ექსპლიკაცია

- არსებული გამწვანება
- საპროექტო გამწვანება
- საპროექტო გამწვანება

საპროექტო ტერიტორიის ფართი - 59278 კვ.მ.

არსებული გამწვანების ფართი -2442 კვ.მ. (საერთო ფართის 4.1 %)

განაშენიანების ფართი - 12216.9 კვ.მ.

განაშენიანებაში მოქცეული გამწვანების ფართი- 923 კვ.მ.(განაშენიანების ფართის 7.5 %)

შეთანხმებულია
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურთან

ობიექტის სახელწოდება
სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი

ობიექტის მისამართი
თბილისის ზღვაზე დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული

დამკვეთი:
შ.პ.ს. "გრინ ვორლდ"

დირექტორი	გ.კვინინაშვილი
[illegible]	[illegible]
არქიტექტორი	გ.კვინინაშვილი

კეთილმოწყობის დენდროლოგიის სქემა

გოდაკო2
godako2
არქიტექტურული ფირმა

განაშენიანების რეგულირების გეგმა

თბილისის ზღვაზე ,დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული

სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი



ექსპლიკაცია

- არსებული მდგომარეობა
- სპორტული მშენებლობა
- სასტუმრო მშენებლობა

სპორტული ტერიტორიის ფართი - 69275 მ².
არსებული მშენებლობის ფართი -2442 მ². (სპორტის ფართის 4.1 %)
მშენებლობის ფართი - 1231 მ². მ².
მშენებლობასთან პროექტირებული მშენებლობის ფართი- 923 მ².(მშენებლობის ფართის 7.5 %)



ექსპლიკაცია

1. მრავალსართულიანი სასტუმრო
2. სპორტული სასტუმროები
3. სახანძრო ობიექტი "ფენიქსი"
4. დასასვენებელი ადგილი ბუნებაში
5. გასართობი ცენტრი-დასასვენებელი პავილიონები
6. ბავშვთა გასართობი ზონა
7. ამფითეატრი
8. სპორტული მოედნები
9. დეკორატიული ტბა
10. შესასვლელი-დაცვის ჯიხური
11. სატრანსფორმატორო
12. ფლის რეზერვუარი

ზღვისპირა ტერიტორიის ათვისების პროექტი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ობიექტის სახელწოდება
სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი

ობიექტის მისამართი
თბილისის ზღვაზე დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული

დამკვეთი:
შპს. "ტურინ გარდენი"

დირექტორი	გ.ჯავახიშვილი
მთავარი არქიტექტორი	გ.ტატიშვილი
არქიტექტორი	გ.ჯავახიშვილი

განაშენიანების რეგულირების გეგმა

გოდაკო2
godako2
არქიტექტურული ფირმა